# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-230

23/03/2022

ქ. თბილისი

**„შპს „ფაზის ოილის“ „ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის N 2-76 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის N 2-76 ბრძანებით გაიცა შპს „ფაზის ოილის“ „ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N 6 (21.01.2020წ).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ფაზის ოილის“ „ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის N 2-76 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ფაზის ოილს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს „შპს „ფაზის ოილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი